



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 13406-02
01/11/2018

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.


გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით მაღლაკელიძე

ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: დავით მაღლაკელიძე

საანგარიშო პერიოდი: 20.11.2017 – 01.11.2018

თანამდებობა: 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე

კომისი(ებ)ის დასახელება: 1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი;

▪ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 27 სხდომა (13 რიგითი, 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 16 სხდომა

ბიუროს სხდომების რაოდენობა: 25 სხდომა

ბიუროს სხდომებზე დასწრება: 19 სხდომა

საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

70 დადგენილება

178 განკარგულება

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

- კომისიები:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:

ჩატარდა - 13 სხდომა

დასწრება - 8 სხდომა

- ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“:

ჩატარდა - 1 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2017 – 2018 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტი“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ აქტიურად იყო ჩართული 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში, სადაც ფრაქციის წევრების ინიციატივით არაერთი წინადადება იქნა წარდგენილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა:

- სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება,
- სოციალური მომსახურებების გაუმჯობესება,
- გზების რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები.

ფრაქცია უწყვეტ რეჟიმში მუშაობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების შემსრულებლის მიმდინარეობა, კერძოდ:

- სოციალური და ჯანდაცვის საკითხების მიმართულება,
- ქალაქში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავება.

მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარეობს სისტემატიურად რაც აისახება საკრებულოს მუშაობაში და მათ შორის ახალი ბიუჯეტის დაგეგმარებაში.

შევსების თარიღი: 01.11.2018 წელი.

ხელმოწერა: დავით მაღლაკელიძე.